- არა, არა. თავისებური კაცი ვარ და თავისებური რწმენა მაქვს. ჩემში მთავარია ის. მგერა... მთავარია.

ელჩარდ შევარდნაქანთან გაყვალა ბერიანისძის 2006 წლის 21 იანვრის ინტერვიუდან („საავალ-დასავალი“, 2006 წლის №4) („მამული“, 2006 წლის №3)

ბოლოს გორბაჩოვს, ეჭყობა, შურება სქლია!

ბატონო ელჩარდ, თუ მიულოცეთ გორბაჩოვს, ანუ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადადგომისას თქვით, თქვენს მეგობარს, 75 წლის იუბილემ?

- მივულოცე. არც მახსოვდა. გამახსენეს. ბოლოს ჩვენ გავვიფუჭეთ ურთიერთობა და ჩემი გადადგომა სხვა პრინციპულ პრობლემაზე ერთად ამითაც იყო განპირობებული... (პაუზა) ჩემი მინისტრობის დროს მსოფლიოში ვის ჰქონდა უფრო დიდი ავტორიტეტი, ახლა არ ვეტყვი. მე მეტს დავდიოდი. გადაუჭარბებლად ვიტყვი, მსოფლიო შემოვიარე, ამერიკასთან ურთიერთობა დავათბე, გერმანიის გაერთიანება პრაქტიკულად დავაჩქარე, - რასაც ამის შესახებ წერს ბუში-უფროსი, მართალია. ჩემი მონაწილეობის გარეშე არაფერი არ გადაწყვეტილა, საქმე კი მსოფლიოს ურთულეს პრობლემებს ეხებოდა. ახალგაზრდები ვიყავით მე და გორბაჩოვი, ვმეგობრობდით. **მითხრანთ, უმსაზრისო რა უნდა გგონოდა? მახსოვს ბოლოს, მახსოვს, უმსაზრისო.** განცხადება რომ გავაკეთე და გადავდექი, მეორე დღეს გამოვიდა და თქვა - მე რატომ არ შემითანხმაო... რომ შემითანხმებინა, მაშინ გადადგომა ჩაიშლებოდა. ვიცე-პრეზიდენტად მინდოდა... საბჭოთა კავშირში პრეზიდენტი რა იყო და ვიცეპრეზიდენტი რა იქნებოდა? ერთი უფუნქციო კაცი... მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, რაც იყო, იყო...

(ელჩარდ შევარდნაქანს ინტერვიუდან სავსიალურად „საავალ-დასავალი“)



მიხეილ გორბაჩოვი და რონალდ რეიგანი

ოლგა ვანდოვიკა, ოლგა სოლომოვნოვა
 „კომსომოლსკაია პრავდა“,
 2006 წლის 2-9 მარტი,
 „ტრუდი“, 2006 წლის 2 მარტი



ქვემოთ მუხრანე

ქეთევან ხამისაშვილის საავტორო ჩანართი

ცნობილი მსახიობის **ჯემალ ლალანიძის** დებიუტი კინოში შედგა გასული საუკუნის 80-იან წლებში დავით რონდელის მიერ გადაღებულ ფილმში „ჩემი მეგობარი ნოდარი“. თუმცა, ეპიზოდურ როლში უკვე გადაღებული იყო გუგული მგელაძის ფილმში „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი!“ მილიციელების თამაში თითქმის დაებედა ბატონ ჯემალს — თეატრსა თუ კინოში წესრიგის დამცველის 20-მდე როლი აქვს განსახიერებული. მსახიობი უკმაყოფილო არ არის, პირიქით, როგორც თავად აღნიშნა, თანამედროვე პატრულსაც სიამოვნებით თამაშობდა.

— „ჩემი მეგობარი ნოდარი“ გადაღებები ქუთაისში მიმდინარეობდა. თვითონ სიუჟეტიც ქუთაისში ვითარდება — მთავარი გმირი ჩადის ამ ქალაქში და იწყება მისი თავგადასავალი. დავით რონდელმა მსახიობთა არაჩვეულებრივი ჯგუფი ჩამოაყალიბა. ფილმში თამაშობს გოგი ხარაბაძე, კარლო საკანდელიძე, გოგი გეგეჭკორი, ეროსი მანგალაძე. მათთან ერთად მუშაობა უდიდესი სიამოვნება იყო. თანაც, სწორედ აქ შედგა ჩემი დებიუტი კინოში, თუ არ ჩავთვლით გუგული მგელაძის მიერ გადაღებულ ფილმს — „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, სადაც პატარა როლი შევასრულე. ორივე ფილმში მილიციელი განვსახიერე. სიამოვნებით ვიხსენებ იმ დროს. ბატონი დავით რონდელი იყო არა მარტო შესანიშნავი რეჟისორი, არამედ საოცრად თბილი და ყურადღებიანი ადამიანი, ნამდვილი პიროვნება, მაქსიმალურად გვიწყობდა ხელს შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში. სხვათაშორის, ეს ფილმი დიდხანს თაროზე იყო შემოდებული, ძალიან გამიხარდა, რომ გაიხსენეს და ახლახან ტელევიზიით აჩვენეს. ფილმში 33 წლის ვარ. ახლა, თუ ღმერთმა ინება, 73 წლის უნდა შევსრულდე.

— გვიამბეთ გადაღების მიმდინარეობის შესახებ...
— მოვიყვებით ერთ სახალისო ამბავს. ალბათ, გასოვით ეს ეპიზოდი — გოგი ხარაბაძის გმირი დამთარობს, ქეიფის შემდეგ მოვდივარ სასტუმროსთან და იარაღს ჰაერში ვისვრი. დამის გადაღება გვექონდა. ქუთაისის სასტუმროს წინ მთვრალი მილიციელი დავებორიალოდდი და რეგულვრირდან ვისროდი. სწორედ ამ დროს ჩამოუვლია სამტრედიისკენ მიმავალ ვიღაც მგზავრს, შეშინებულს მანქანის სიჩქარისთვის მოუმატებია და უკან მოუხედავად სამტრედიამდე ჩასულა. იქ რესტორანში უნახავს ქუთაისის მილიციის უფროსი — ძმაცაქებთან ერთად ქეიფობდა თურმე; საყვედურებით აუცხია, კაცო, შენ აქ ქეიფობ და ქუთაისში სასტუმროს წინ ვიღაც მილიციელი ხალხს ხოცავსო.

— ნამდვილ ტუვას ისროდით?
— ნამდვილი არ იყო, მაგრამ ისეთი ხმა ჰქონდა, მტრისას (იკინის). გადაღება სამ საათს გაგრძელდა, ბოლო დუბლს ვიღებდით, როცა მილიციელები მოვარდნენ, გადამოცივდნენ მანქანიდან, მაგრამ უცებ აღგოღე გამეშინდა — დანახეს პროექტორები, კინო-აპარატურა, რეჟისორი, რომელიც სკამზე იჯდა და რუბრორიტ რაცაცას მკარანახობდა. გადაირიგნენ, მიხვდნენ, რომ გადაღება იყო. ბოლოში მოგვიხადეს.

— რატომ მიგიწვიათ დავით

ჯემალ ლალანიძე:

მილიციელის ოსავლა როლი გაქვს უსრულდა!



„პატრულის როლს სიამოვნებით ვითამაშობდი...“



„იმხანად გოგის დამწყობი მსახიობი იყო. ამ ფილმის შემდეგ თეატრში არაერთი მთავარი როლი შეასრულა. იქაც პატრულის როლი ვითამაშებდი...“

რონდელმა ამ როლზე, თქვენში წესრიგის დამცველი დაინახა?

— რა ვიცი?! იმ დროს რუსთაველის თეატრში ვთამაშობდი, ძალიან დაკავებული ვიყავი. ზუსტად ის პერიოდია, როცა ვითამაშე „მეტეხის ჩრდილში“. იმხანად სპექტაკლი ყოველდღე იმართებოდა, ყოველ საღამოს სცენაზე ვიდებო. ეტყობა, დავითმა რომელიღაც სპექტაკლში მინახა და გადაწყვიტა, ფილმში მივეწვიე. ბატონი დავითი ნამდვილი ინტელიგენტი იყო. გარეგნობითაც გამოირჩეოდა.

— როგორი იყო თქვენი დამოკიდებულება იმჟამინდელი წესრიგის დამცველების მიმართ?

— რატომ, არ ვიცი, მაგრამ მილიციელის 20-მდე როლი მაქვს განსახიერებული. მასხოვს, მილიციის აკადემიის რექტორმა შოთა გორგოძემ შეხვედრა მოგვიწყო მსახიობებს — მე, კარლო საკანდელიძეს, გოგი გეგეჭკორს და გურამ საღარაძეს. მშვენიერი საღამო ჩატარდა — ვიმღერეთ, ეპიზოდები წარმოვადგინეთ სპექტაკლებიდან, ლექსები წავიკითხეთ. ბოლოს სცენიდან ვუთხარი ბატონ შოთას, — მილიციელის ოცამდე



კადრი ფილმიდან „ჩემი მეგობარი ნოდარი“

როლი მაქვს შესრულებული, ერთი პატარა ვარსკვლავი არ მეკუთვნის-მეთქი (იკინის)? ატყდა ერთი ყრბამული. ბოლოს საბატო მილიციელებად აგვიჩიეს თონივე. პირველად კინოში სწორედ მილიციელი ვითამაშე. ეს იყო ფილმში „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი!“ ბატონ იპოლიტე ხვიჩიასთან ჩემი პირველი შეხვედრა იქ მოხდა — იპოლიტეს გმირს ჰგონია, რომ მოსაკლავად დასდევენ, ამიტომ მილიციელთან მივა, — დამიჭირეთ და სილას გააწვანეთ. უნდა, რომ მილიციელმა დაიჭიროს. ამით იქნებ სიკვდილს გადაარჩეს. თუ გახ-

სოვთ ის ეპიზოდი, პოსტზე ვდგავარ გამხდარი, მაღალი მილიციელი... ასე ლაწა-ლუწით დამიწყო ჩემი და იპოლიტეს დუეტი (იკინის). პროკურორის როლი ვითამაშე ფილმში „ბანდიტი ავტორის ქარხნიდან“, მხატვრულ ფილმში „დილის ნისლი-

მი მეგობარი. როცა სიჩქარეს გადავაჭარბეთ, გაგვაჩერეს. საჭესთან ჩემი მეგობარი იჯდა. საბუთები წესრიგის დამცველს აჩვენა. ეს უკანასკნელი თან მართვის მოწმობას ათვალისწინებდა, თან მე მიყურებდა, მერე ჩემს მეგობარს ჰკითხა, — ბატონო

ლი ვნახე, ტელევიზიაში ლექსებს კითხულობდა, თეატრში არ მოსულა.

— გოგი ხარაბაძე ფილმში ცუდლული ახალგაზრდის როლს ასრულებს...

— დიახ, ზუსტად ცუდლულია, უარყოფითი გმირი არ არის. გოგი გადაღებულზეც ბევრს ცუდლულთობდა, ხუმრობდა. გადაღების შემდეგ ვქეიფობდით ხოლმე. მასხოვს, ერთ დღით ხაშუკი დაგვატყვეს. ბატონ დავითს ვთხოვეთ, წასვლაზე უარს ნუ გვეტყვიან, თქვენც წამობრძანდით-თქო. — წავიდეთ, ოღონდ არ დალიოთო. წავედით. მოგვიტანეს ხაში. მაგრამ ხაშს თუ არაყი არ დააყოფო, რა იქნება! გოგიმ ბორჯომის ბოთლებში არაყი ჩაასხა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცოდით, რომ ბოთლში იყო არაყი და რომელში — ბორჯომში. ბატონმა დავითმა მოხერხება ხაში, მიაცილა ბორჯომი და უცებ იყვირა, — ეს რა არისო?! არაყი ისე დალია, როგორც ბორჯომი (იკინის). სასწრაფოდ მიაწოდეს ბორჯომით საგსე ჭიჭი. აი, ასეთებიც ხდებოდა, უყვარდა გოგის ხუმრობა.

— სხვა ახალგაზრდა მსახიობებზე რას იტყვიან?

— კარგად ითამაშეს. მასხოვს, იმ გოგონას ბებია დაჰყვებოდა ხოლმე გადაღებებზე. ერთხელ სათაფლიაში ვიღებდით რაღაც ეპიზოდს. გოგონას პირში ბალახის ღერო ედო. ბატონი დავითი ბრაზობდა — გამოიღე, შვილო, ეს ბალახი პირიდანო. როცა ვერაფრით გადაადგებინა, ბებიას დაუძახა, — ბავშვს დილით არაფერი აჭამეთ, ცოხნა დაიწყეთ! თუ, მაგალითად, ერთ სცენაში იღებდნენ, მეორედ ღღეს იმევე ეპიზოდის გადაღებისას ახალ კაბაში გამოეწყობოდა ხოლმე. რეჟისორი ამაზე სულ გადაიროვდა, — ისევ იმ კაბით მოდი, რად გინდა ეს ახალი კაბა, ისევ გუშინდელ სცენას ვიღებთო (იკინის). იყო ერთი ამბავი... ამ ფილმს როდესაც ვუყურებ, წარსული მენატრება. სამწუხაროდ, დავით რონდელი ცოცხალი აღარ არის, მე და კარლო საკანდელიძე ისევ ერთად ვართ, სცენაზე ისევ გვიყვებს ერთად თამაში. ახლა მძიმე ოპერაცია გადაიტანა, საბედნიეროდ, თავს კარგად გრძნობს. ახლახან „კავკასიურ ცარკის წრემიც“ ერთად ვითამაშეთ. კარლო ნიჭით საგსე კაცია, ჯანმრთელობას ვუსურვებ, უპირველეს ყოვლისა. სერიალ „ყავა და ლუდშიც“ რომ ვითამაშეთ ერთად. ახალ გადაღებებს ახლა ვიწყებთ.

— მარია ჟღერტი ანუ ნინო ბურდული ისევ დაბრუნდება სერიალში?

— კარლომ მითხრა, ყური მოგაკარი, ნინო სერიალში დაბრუნდება. ძალიან კარგი იქნება. ნინო ნამდვილად დაგვაკვდა. თანაც, სერიალის ეპიზოდებში სწორედ მასთან ერთად გადავამიღეს. ალბათ, ჩვენ ისევ ერთად ვითამაშებთ — რაფო და მარია ცუდი წყვილი არ იყო (იკინის!)

ჯემალ ლალანიძე: ეს ფილმი დიდხანს თაროზე იყო შემოდებული. გამიხარდა, რომ გაიხსენეს, ახლახან ტელევიზიითაც აჩვენეს. ფილმში 33 წლის ვარ, ახლა თუ ღმერთმა ინება, 73 წლის უნდა შევსრულდე.

— თქვენი პატრიოტის გოგი ხარაბაძის შესახებ რას იტყვიან? ის აღარ მონაწილეობს ფილმებში, აღარ დგას სცენაზე...

— იმხანად გოგიც დაწყები მსახიობი იყო. ამ ფილმის შემდეგ თეატრში არაერთი მთავარი როლი შეასრულა. იქაც პატრიოტები ვიყავით. გულგანმსჭვალულნი. როცა მანქანაზე აღარ თამაშობს. ვერ ვივარჩინე, როგორც კი დაგვიხანავე, — თქვენი ჰორიფო, — ხელმე აწვევენ და დიმილით გვისტუმრებენ. მასხოვს, მანქანით ბათუმში მივდიოდით მე და ჩე-

კინოს მოყვარულებს კარგად ახსოვთ ლანა დოლობერიძის ფილმი „როცა აყვავდა ნუში“, რომელიც 70-იანი წლების ახალგაზრდების ცხოვრებას ასახავს. ცნობილ მსახიობებთან — დოდო აბაშიძესთან და სესილია თაყაიშვილთან ერთად თბილისელმა 18 წლის გოგონებმა არაჩვეულებრივი სახეები შექმნეს, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს შემოვიდნენ ჩვენს ცხოვრებაში და აღარ მიგვატოვეს. ხათუნა, იგივე **თინიკო პარლანაშვილი** დღეს 52 წლის ქალბატონი გახლავთ, რომელმაც რამდენიმე ფილმში მონაწილეობის შემდეგ („ჩარი-რამა“, „რაიკომის მდივანი“) კინოში გადაღებას თავი დაანება. **ზურა ყიფშიძე** კი — ჩვენი თანამედროვეობის უნიჭიერეს მსახიობს, საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდება.

თინიკო პარლანაშვილი:

ზურას თაყაიშვილის მსახიობი ახლაც პარ!



თინიკო პარლანაშვილი: — კინოსურათი „როცა აყვავდა ნუში“ გადაღებულია 1971 წელს. რეჟისორმა ლანა დოლობერიძემ ეს ფილმი ნამდვილ ამბავზე დაყრდნობით გადაიღო. მაშინდელ სპორტულ სინამდვილეში მართლაც მოხდა ის ფაქტი, რაც კინოფილმშია განვითარებული (კინოგმირის — ზურას ველობროლიაში გამარჯვებასთან დაკავშირებით) და ის ავტოკატასტროფის ეპიზოდის სინამდვილეს უკავშირდება, როდესაც ლექსო (იგივე გოგა ფიფია) ტრაგიკულად იღუპება და მძღოლის გამართლება სურთ. ეს ყველაფერი ცნობილი იყო საზოგადოებისთვის, ამიტომ განსაზღვრულ ამბავზე გადაღებული ფილმიც პოპულარული გახდა, შესაბამისად — ჩვენც. მაშინ 18 წლის ვიყავი, სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა.

— სად მიმდინარეობდა ფილმის გადაღება?

— ძირითადად, ბიჭვინთაში ვიღებდით. რამდენიმე ეპიზოდი თბილისშია გადაღებული. მახსოვს, როდესაც ამდენი ახალგაზრდა დამოუკიდებლად, მშობლების გარეშე ზღვისპირა ქალაქში ერთად აღმოვჩნდით, ძალიან გვიხაროდა.

— ზურა ყიფშიძე ამ გადაღებების დროს გაციანათ?

— მანამდეც ვიცნობდი. მე და ზურას საერთო მეგობრები გვყავდა. შემდეგ უფრო უკეთ გაცივანით ერთმანეთი. გოგა ფიფიას სკოლიდან ვიცნობდი — ორივენი 53-ე საშუალო სკოლაში ვსწავლობდით. ასევე ვიცნობდი დიმა გვდევანიშვილს, მისი აბრაშიშვილის. საერთოდ, ფილმის გადაღების დროს შემოქმედებითი ჯგუფი ერთ ოჯახად იქცევა ხოლმე, დასრულებისას კი ყველა იფანტება, საკუთარ ოჯახებს უბრუნდება.

— თქვენ და ზურა მაყურებელს მართლაც შეეცარებულენი ეგონეთ...

— ეტყობა, ისე კარგად ვითამაშეთ, რომ ასეთი შთაბეჭდილება შეექმნათ. შეეცარებულენი ნამდვილად არ გყოფილვართ, უბრალოდ, მეგობრები ვიყავით. ზურა კამერის წინ უფრო თავისუფლად გრძობდა თავს, ვიდრე მე. უჩერებლობა მიპყრობდა, მაგრამ ზურას გამოკი არა, საერთოდ, კომპლექსი მქონდა, მეშინოდა, თავს ვერ გავართმევდი, თამამი არ ვიყავი. ზურა შინაგანად მსახიობი იყო, არაჩვეულებრივად თამაშობდა. დღემდე ზურას თაყაიშვილის ფილმი ვარ, მართლაც უნიჭიერესი მსახიობია, მეტად საინტერესო სახეები შექმნა.

— ფილმში რომელი ეპიზოდი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— ყველაზე ლამაზი ეპიზოდი ველოსიპედით ტყეში სეირნობა. არაჩვეულებრივად ერწყმის მუსიკა. ამ ეპიზოდს „სიყვა-



«სიყვარული». ზურა ყიფშიძე და თინიკო პარლანაშვილი 18 წლის ასაკში. 1971 წელი

გობრობდით კიდევ: — რატომ არ გააგრძელეთ კინოკარიერა?

— პროფესიით გეოფიზიკოსი ვარ, სულ რამდენიმე ფილმში გადამიღეს. შემდეგ გავთხოვედი, ორი ქალიშვილი შემიძინა. ჩემი მეუღლე მხატვარი მერაბ ქობულაძე გახლავთ, ცნობილი მხატვრის სერგო ქობულაძის ვაჟი.

— არც თქვენმა შვილებმა ისურვეს მსახიობობა?

— არა. რამდენიმე წლის წინათ უფროსი ქალიშვილი ავტოკატასტროფაში დამელუბა — 16 წლის სალომე ქობულაძე. შემთხვევით მცხეთის გზაზე მოხდა... უმცროსი გოგონა ლიზიკო მხატვარია, ტელეკომპანია „იმედი“-ს თანამშრომელია. მყავს შვილიშვილი — კესარია, ჩემი იმედი და გადაამჩინა.

— თითქოს ავტოკატასტროფამ ბედისწერასავით ფილმიდან თქვენს ცხოვრებაში გადამოინაცვლა...

— თითქოს... დიას, რა გითხრათ, უდიდესი ტრაგედია დაგვატყდა თავს.

— ბოლოს როდის ნახეთ ფილმში მონაწილე თქვენი თაობის ახალგაზრდები?

— სხვათაშორის, ამასწინათ

„ტელეიმედმა“ მიგვიწვია დღის გადაცემაში, რესტორანში დაგვატყვეს. თითქმის ყველანი ვიყავით — ზურაც, გოგაც, დიმიც... უკვე 52 წლის ვარ, ისინიც ჩემი თანატოლები არიან — შუახნის წარმოსადგევი ვაჟკაცები. ლამაზი ბიჭები იყვნენ, ახალგაზრდული ხიზლი ახლაც შენარჩუნებული აქვთ. ყველა მათგანი მიყვარს, მათი გულშემოტყვივარი ვარ.

ზურა ყიფშიძე, მსახიობი:

— ფილმი ლანა დოლობერიძემ გადაიღო. თითქმის ყველანი თანატოლები ვართ — 18 წლისანი. ხათუნას როლის შემსრულებელი გახლავთ არაჩვეულებრივი ქალბატონი თინიკო პარლანაშვილი, ცნობილი მხატვრის სერგო ქობულაძის რძალი, მერაბ ქობულაძის მეუღლე. სამწუხაროდ, ამ ოჯახს დიდი ტრაგედია შეემთხვა — ულამაზესი ქალიშვილი გარდაეცვალა. „როცა აყვავდა ნუში“ კარგი ფილმი გამოვიდა, გადაღების დროს ყველანი დავახლოვდით. მართალია, შემდეგ დავიფანტეთ, მაგრამ ხანდახან ერთმანეთის ნახვას მაინც ვახერხებთ.



ზურა ყიფშიძე და თინიკო პარლანაშვილი 52 წლის ასაკში. 2004 წელი


რულს“ დავარქმევდი. შთაბეჭდილება მომენტია, როდესაც მე და ზურა ქუჩას მოგუყვებით და სიყვარულზე ვსაუბრობთ. ამ კადრს „სევდას“ დავარქმევ. გაზაფხული, აპრილი, ნუშის პირველი ყვავილები — ეს ყველაფერი ისე უცხო და ლამაზია. თუ გახსოვთ პატარა გოგონა აყვავებული ნუშის ტოტებით ხელში — ეს პატარა ლიკა ქავთარაძეა. ეს, ალბათ, მისი დებოუტია კინოში. უდიდესი ნოსტალგიით გუყურებ ამ ყველაფერს. ახალგაზრდობას ვერასოდეს დაიბრუნებ.

— ისეთივე პრინციპული გოგონა იყავით, როგორც თქვენი კინოგმირი ხათუნა?

— არა, ჩემი პიროვნებისგან სრულიად განსხვავდება. ნამდვილად არ მოვიქცეოდი ისე, რომ ჩემი მეგობრის გამარჯვების წინააღმდეგ წავსულიყავი და გაინმეცხადებინა — ჩემმა კლასელმა მხოლოდ იმით გამოიმარჯვა, რომ მამამისმა საჭმელს „ჩააწყო“. ეს, ალბათ, უფრო კომკავშირული განცხადება იყო.

— ქალბატონმა ელენე ყიფშიძემ როგორ შეაფასა ეს ფილმი?

— ძალიან მოეწონა. ქალბატონ ლენასთან უფრო გამოვინახე საერთო ენა, ვიდრე ზურასთან (ივინის). განსაკუთრებით დავუახლოვდი მას „ჩარი-რამას“ გადაღების დროს. შემდეგ ვმე-



ლიზა გალანაშვილი, ვიხო აპარაშვილი, ზურა ყიფშიძე, თინიკო პარლანაშვილი

კარაიმი თინიკოს „როცა აყვავდა ნუში“

მეგობარი

წელს ნიკოლოზ სანიშვილის მიერ გადაღებული კინოსურათს „თოჯინები იცინიან“ 40 წელი შეუსრულდა. რეჟისორმა ფილმში სათამაშოდ თითქმის ყველა ცნობილი მსახიობი მიიწვია - სესილია თაყაიშვილი, მარინე თბილელი, იპოლიტე ხეიანი, ეროსი მანჯგალაძე, დედუქიანი წერეთელი, სამუხარბიძე, ამჟამად ეს კარიერები აღარ არიან ამქვეყნად, ხოლო მთავარი გმირები (რეზიკო და ლალი) - „სამეფო უბნის თეატრის“ მთავარი რეჟისორი მარაბ ტაყაიშვილი და ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი მამიკა კაჭარაძე დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმრები არიან.

მარაბ ტაყაიშვილი: - რეზიკოს როლის მისაღებად დიდი კონკურსი იყო. გავიარეთ სინჯები და სამხატვრო საბჭომ არჩევანი ჩემზე შეაჩერა. უკვე გადაღებული ვიყავი „ზღვის ბილიკში“ (ჩემი პარტნიორი ვახლადი სერგო ზაქარაძე), მაშინ თეატრალური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ვახლადი.

- რეჟისორმა თქვენს ხასიათში ფილმის გმირი - რეზიკო დაინახა?
- ფილმის გმირი ჩემგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა, მეტსაც გეტყვით - არ მომწონდა. „დედიკოს ბიჭი“, რომელსაც დედა და ბებიის თავს დასტრიალებდნენ, არასოდეს ვყოფილვარ. მეათე კლასის მოსწავლე უკვე დამოუკიდებელი პიროვნება ვიყავი, ვცურავდი, სპორტის ოსტატი ვახლადი ცურვაში. სანამ ინსტიტუტში ჩავაბარებდი, ელექტროტექნიკურ ქარხანაში ვმუშაობდი. მეათე კლასი სრულად არ დამითავრებია - სკოლიდან „მგლის ბილიკით“ გამომიშვეს.

- რატომ?
- ნიკიტა ხრუშჩოვზე რაღაც ვთქვი... საკმაოდ ცუდი დრო იყო... 1956 წლის 3 მარტის ამბები მოგესვენებოდა, ბევრი დახვრიტეს. პატარა კი ვიყავი, მაგრამ მოვლენებს რეალურად ვადასებდი... შემდეგ დავამთავრე დამის სკოლა დაუსწრებლად, ვმუშაობდი ქარხანაში. პრობლემა ვახდებდა ინსტიტუტში ჩემი მოწყობა „მგლის ბილიკით“. შემდეგ, მხოლოდ უცხო ენათა ინსტიტუტში შემეტანა საბუთები ან თეატრალურში. უცხო ენებში მხოლოდ გოგონები სწავლობდნენ, ბიჭი იმეი-ათობა იყო, ამიტომ ისევ თეატრალურზე შევჩერე არჩევანი, თანაც, ჩვენი ნათესავი ილია თავაძე თეატრალური ინსტიტუტის რექტორი იყო. ის დამეხმარა. ვერაფერ იფიქრებდა,

რომ ჩემგან მსახიობი გამოვიდოდა, სპორტზე ვიყავი გადართული. დღე-ღამე ქუჩაში ვატარებდი. სხვათაშორის, სერგო ორჯონიკიძესთან ერთად თამაშის შემდეგ მივხვდი, რომ მსახიობობა გართობა კი არა, სერიოზული პროფესია იყო.

- ალბათ, ვერაფერ წარმოიდგენდა, რომ „თოჯინების“ გმირი „მგლის ბილიკითაინ“ მოსწავლე იყო... ფილმის გამოსვლის შემდეგ თქვენი პედაგოგები რას ამბობდნენ?
- არ დავინტერესებულვარ. ჩემი მეგობრები და კლასელებს კი ძალიან მოეწონათ.

- გადაღების დროს რაიმე პრობლემა წარმოადგინდა?
- პრობლემა გვქონდა მე და იპოლიტე ხეიანის. მასთან ერთად სულ მეცინებოდა, კადრი ფუჭდებოდა. იპოლიტე ჩემზე ამბობდა, - კაცო, კარგი ბიჭი კი არის, მაგრამ მე რომ არ მგავსო... - არა უშავს, დედას დამსგავსაო... იცინოდნენ (იცინის).

ლემელი - მეგი კეჭერაძე გადაღების დროს გაიცანით?
- დიახ, ლალი უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლობდა. ისიც სინჯების შემდეგ დაამტკიცეს. არაჩვეულებრივი გოგონა იყო.
- ფილმის რომელი ეპიზოდი მოგწონთ ყველაზე მეტად?
- არ მომწონს თოჯინების

მამიკა კაჭარაძე: მერაბზე უიქრს ვერს გაპაქავდი!



მარაბ ტაყაიშვილი: მიყვარს იპოლიტე ხეიანისთან ერთად თბილისის ზღვაზე გადაღებული კადრები.



მამიკა კაჭარაძე: კაფეში გადაღებული ეპიზოდი ფილმში ერთ-ერთი საუკეთესოა!

ყველასთან ბოლომდე კარგი ურთიერთობა მქონდა - ქალბატონ მარინასთან, სესილიასთან...
- სად მდებარეობს სახლი, სადაც გადაღება მიმდინარეობდა?
- თათხები მოწყობილი იყო კინოსტუდიის პავილიონში, რაც შეეხება შენობის ხედს - ქორწინების სახლის მონარდაპირე აივანიდან სახლის მესამე სართულია გადაღებული, ხოლო ეზო საბურთალოს იმჟამად ახალაშენებული კორპუსების ერთ-ერთი ეზოა. გადაღებები მიმდინარეობდა თბილისის ზღვაზე. თოჯინების ფაბრიკის ტერიტორია დიდუბის გამოფენის მიდამოებშია გადაღებული.

- რამდენი წლის იყავით მაშინ?
- 20-ის. ახლა 62 წლის ვარ. იცნისში 63 წელი შემისრულდება.
- ლალის როლის შემსრუ-



მარაბ ტაყაიშვილი და ნიკოლოზ სანიშვილი 40 წლის ვაჟებთან 2004 წელს



ფაბრიკაში გადაღებული ეპიზოდები. ყველაზე კარგია იპოლიტე ხეიანისთან ერთად თბილისის ზღვაზე და მეგისთან ერთად დამის კაფეში გადაღებული კადრები.
- ფილმში თოჯინები მართლაც თქვენს გაკეთებულია?
- არა. ყველა თოჯინა კარლო სულაკაურის შექმნილია.

მამიკა კაჭარაძე: - კინოსტუდიის ერთ-ერთმა რეჟისორმა ტროლიბუსში შემაძინა და კინოში მიმიწვია, ეს იყო კინოფილმი „ყვავილი თოვლზე“. ნიკოლოზ სანიშვილმა კი შემდეგ გადაწყვიტა, თავის კინოსურათში „თოჯინები იცინიან“ ლალის როლი შემოეთავაზებინა. რა გითხრათ, ბატონი კოლი არაჩვეულებრივი კაცი იყო, თბილი, იუმორით სავსე, ყურადღებიანი, მე კი იმის შემდეგ (გვლისხმობ ფილმის გადაღებას, მთელ პროცესს) თავი მნიშვნელოვან პიროვნებად არასოდეს მიგრძნია. მართალია, შემდეგ ორ ფილმში მივიღე კიდევ მონაწილეობა, მაგრამ ჩემი შე-



20 წლის მამიკა კაჭარაძე და მარაბ ტაყაიშვილი. 1964 წელი

საძლებლობები ვერ გამოვიყენე. მორცხვი ვიყავი, თანაც, ჩემი თბილისში ბევრი იყო. ამასთან, უცხო ენათა ინსტიტუტში ვსწავლობდი, მსახიობობა ჩემი პროფესია არ იყო.
- მერაბ თავაძე გადაღების დროს გაიცანით?
- დიახ. არაჩვეულებრივი პიროვნებაა, ყურადღებიანი. რაც დრო გადის, მეტ ვაქცეპტორ თვისებებს ავლენს. ძალიან ლამაზი რომ იყო, თითქოს მის ვაჟაკობას ისე არ აღიქვამდნენ, მაგრამ

მიყვარს ტირილი). ეს ყველაფერი რომ არ მეორდებოდა... მიუხედავად ამისა, ჩემი საქმის ერთგული ვარ, პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწევი, მყავს მოწაფეები, რომლებიც ძალიან მიყვარს, ვმუშაობ ტექნიკური უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის კათედრაზე. მყავს მეუღლე, მოქანდაკე გურამ გურგენიძე და 24 წლის ქალიშვილი ანუკა. ჩემი კინომსახიობობა სადაც წარსულში დარჩა.

სტუმრად რედაქტორთაგან



სიყვარულზე ვისაუბროთ-მეთქი, ვუთხარი და ბელა მოვიგონე, მინდოდა საღერელო ამოლოდა. თეატრზე და კონოზე სასაუბროდ მზადყოფნა უცბად ბელაზე, მხოლოდ ბელაზე საუბარი ვთხოვე. დიდხანს სიჩუმე ჩამოწვა, შემდეგ თავი მაღლა ასწია და დაიწყო...

იმდენად კახისეულად, იმდენად კავსადისეულად საუბრობდა, რომ გადავწყვიტე მისი საუბრის სტილი უცვლელად გადმომეტანა ფურცელზე, ალბათ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, როცა კი კითხულობ ამ საუბარს გაზეთში დაბეჭდილს, იქვე კახის ხმა ამოიკვეთება უტყვე ფურცლებიდან თუ სასტამბო საღებავებიდან და უშუალოდ ამ საუბრის მონაწილე ხდება... აბა დაუკვირდით!

სიყვარულზე... ვისაუბროთ ბატონო... სიყვარული ეს ისეთი თემაა, რომ ამოუწურავია. ამ თემას თავიანთი შემოქმედება შესწირეს თუ ვინმე გენიოსი იყო დედამისის ზურგზე, და მაინც ვერ ამოწურეს. ამოწურავი იქნება ყოველთვის და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდეს. ლეგენდად ამბობენ? მე ეს ყოველთვის მიკვირდა... იმიტომ, რომ საღებავდო არაფერი ყოფილა! მე ვარ ისეთი პროფესიის კაცი, რომ ჩემი ყველა მოქმედება ჩანს. ვაი, ჩემს თავს და ვაი ჩემი პროფესიის კაცს რაიმე თუ ჩაიდინა. იმ წუთასვე დრომად ააფრიალებენ. მიკვირს მეთქი, წელან გითხარი... კი არ მიკვირს, სასიამოვნოა...


თუ საქართველო დღევანდელ დღემდე მოვიდა, კიდევ რაღაც არსებობს და სუნთქავს, სიყვარულმა მოიტანა, მეტმა არაფერმა... ისეთი სიყვარულებიცაა, რომლებიც არ ჩანს და არ უკავიათ დრომასავით... ჩვენ უბრალოდ ერთმანეთს პატივს ვცემდით. უფრო მეტის დირსი იყო და კიდევ ვერ მივუძღვენი, ის სიყვარული ვერ მივეცი ჩემს ცოლს, რაც ეკუთვნოდა. მე ასე ვფიქრობ... რა ვიცი, მუხუნებიან ხოლმე, შენაო, ცოლს უყვარდიო, არადა, მე მიყვარდა, თუ უყვარდი, ძალიან კარგი, თორე მე მიყვარდა და...

როგორ აღმოაჩინე, ამურის ისრით რომ მოიწამლე-თქო, ან პირველ პაემანზე მიაბე რამე-მეთქი, ისე შეგეკითხე, როგორც ბუხრის წინ, ბაბუას კალთაში მოკალათებული შვილიშვილი ჩაეძიებოდა ტკბილ პაპას...

- პირველად ინსტიტუტში რომ მოვიდა, დავინახე და თავბრუ დამეხვა. აბა კაცო! (შეცდომით არ გეგონოთ, დიასაც, კაცო, რედ) ვერ ვუბედავდი ვერაფერს, იმდენად შორს იყო, რაფერ გავუბედავდი რამეს თქმას... და ასე ვატარებდი, ბოლოს ნამეტნავად რომ გადავვარდი, საოცარი რამ მოხდა... ყვავილებს დაუწვევ ყურება. ყვავილებს ვუყურებდი ძალიან, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, და როდესაც ძალიან გადავვარდი...

- უკან გამოსასვლელიც რომ არ დაიტოვეთ?!...

- ხო... აღარაფერია დარჩენილი და... „რა ლამაზი ყვავილია?!“, ვიძახდი თურმე. ჩემმა მეგობარმა მითხრა, კაცო, რა იყო, რა ყვავილების ძახილი აგიტყდაო. თურმე კაცი, როცა ნამეტნავად შეყვარებულია, ყვავილებს ამჩნევს და ყვავილებს უკვირდება... ყვავილებს დაუწვევ ყურება, კაცო! და... რა ლამაზი ფერია, რა კარგი სუნი აქვს, ვიძახდი, თურმე... მერე მეც გამასხენდა,



„ჭირიბე თქვენი“-ო, ამას ჩვენს სტუმარზე ლამაზად, ომანიანად და ვაჟკაცურად არც არავინ ამბობს. სიყვარულიც რომ გამორჩეული, რაინდული ჰქონია ამ მაღლიანს?!

ქართველებს უამრავი ლეგენდად ქვეული ისტორია გვაქვს: გალაკტიონი და ემიგრაციას გადახვეწილი ქართველი ქალის ხატება მერი, ტიციანი და ფენიმოტეხილი ღრუბელი თამუნია წერეთელი, ფიროსმანი და მილიონვარდმიძენილი აკტრისა მარგარიტა, რეზო და გემბანზე, თიბათვის მზეზე შეყვარებული მედეა... და უკვე კახი და 28 წლის კათანდარა, უსათნოესი ბელა... დიას, ქართველები ცაში მოცქირალი ხალხი ვართ... ვარსკვლავთმჭვრეტელებიც... და რა გასაკვირია, ვარსკვლავებში ბელაც ამოვიცნოთ და კახიც...

ასე გაბრუებული რომ დავიარებოდი. სასიამოვნო გრძობა ძალიან... შეყვარებულებმა სულ უნდა ვცადონ, რომ ერთმანეთი არ დაინახონ. უნდა იგრძნონ! სულ ბოლომდე გრძობაში უნდა იყვნენ, თუ დაინახეს ერთმანეთი, ალბათ გაფუჭდება საქმე. დედა, ბიჭო, ეს მიყვარდა?! უიბე, ეს მიყვარდა კაცო, მეო. ან ამას იტყვიან: უიბე, ეს ამხელა აყლაყულა კაცი რანაირად, კაცო?! სულ ვცდილობდი, რომ არ დავენახე, სულ გრძობებში ვყოლოდი...

მისი დანახვა ჩემთვის ყოველთვის პაემანი იყო. როდის მოხდა „პაემანი“, პირველი შეხვედრა, მართალი გითხრა, არც მახსოვს. სულ ყოველთვის, მასთან შეხვედრა იყო ჩემთვის პაემანი, თეატრში რომ შეხვედებოდი, აი, ენა ნელ-ნელა ჩამივარდებოდა პირში.

- დანახვაზე თუ ენა გივარდებოდა, მაშინ წარმომიდგენია, კონცის შემდეგ რა დავემართებოდაო...

- (დიდი პაუზა) ...მე ვიფიქრე... რაღაც პიკზე, რაღაც სიმძლევზე, აი, ევერესტის იქით კიდე მაღლა, მთებში, მიღად ზემოთ... აუ, სადა ავედი მეთქი, ეს რა არის-თქო, კაცო, ძალიან ამაღლეკებილი იყო... სულ გამაყობდი, რომ ვეგეთი კარგი ცოლი მყავდა, სულ გამაყობდი, ვერასდროს ვერ გავძეხი ამ სიამაყის გრძობით.

- ქალბატონი ბელა როგორ ხედავდა? თქვენ როგორ დაინახა?

- რა ვიცი, მე მიყვარდა და...

- თქვენსკენ რომ აპირებდა ნავის მოცურებას, ამას მაინც როგორ მიხვდით?

- რა ვიცი, მე მიყვარდა და... (გაიღიმა), მე ბუღლოზერივით მივაწექი მერე და... უკან რომ ვერ დაიხია, ალბათ მაშინ მივხვდი... ალბათ...

- რომელ ყვავილს შეაღარებდით?

- ... რომელიც ჩქარა ჭკნება, ალბათ... დიდხანს რომ დგას, ლამაზია... შემომაჭკნა ხელში და... ძან მაგარი ვიღაც იყო... მაგარი გოგო იყო... სულ აღფრთოვანებაში მოვიდი. ვერაფრით ვეცი ისეთი პატივი, როგორსაც იმსახურებდა სამწუნაროდ... სულ მუშაობაში ვიყავი, სულ თეატრი, სულ კინო, სულ რაღაცა... ჩემი ოცნება იყო, როგორმე ერთად, მთელი ოჯახი ბავშვებთან ერთად წავსულიყავით საღმე, ისე რომ არსად მჩქარებოდეს. ვერაფრით მოვასხენდი არადა, ისიც ბედნიერებაა, თეატრშიც ვიყავი, კინოშიც ვიყავი,

დაკავებული ვიყავი ყოველთვის და... ყოველთვის მოძრაობაში ვიყავი, და ის დრო მივუძღვენი ოჯახს, როგორსაც იმსახურებდა ჩემგან.

- რომანტიკოსი იყავით?

- რა ვიცი, რა არის რომანტიკა? მე სულ ბედნიერი ვიყავი! და სხვათაშორის, ერთი სიმღერა რომაა: „ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, სახლში მისვლა-დაბრუნება, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო“, რა სიმღერა ესაა-მეთქი, ვფიქრობდი... კარგი ცხენით ომში მიდის, კარგი ცოლი სახლში ხვდება... მართლაც! ყოველთვის მისხროდა სახლში მოსვლა, რომ კარგი ცოლი მყოფდებოდა. ასეა რა! არაფერი შემთხვევით არ ხდება არც სიმღერაში, არც ლიტერატურაში, არც მოქმედებაში, არც საქციელში... ეპპ, როგორც სერვანტესის გმირი დონ კიხოტი ეუბნება სანჩოს: ეპ, ჩემო სანჩო, ამ ქვეყანაზე შემთხვევით არაფერი არ ხდებაო.

- რითმასაც ეკვიდებოდით?

- სხვათაშორის, მუსიკა დამიწერია, ნოველა დამიწერია, სცენარი დამიწერია, ცოტა დამიხატა კიდევ, მაგრამ ლექსი არასოდეს დამიწერია. ყოველთვის მიკვირდა, როგორ წერდნენ პოეტები ასეთ ლექსებს: „და ცით დაამშვენა დიდი ნიკორწმიდა“... მოფიქრება არ უნდა კაცო?! რანაირად მოიფიქრა, ნიკორწმიდა იმდენად დიადია, რომ ცით დაამშვენაო, კაცოოო, რანაირად შეიძლება ამის მოფიქრება?! ლექსის დაწერა აქამდე ვერ გავბედე, როგორც ვერ ვებედავდი მასთან მისვლას, ასე ლექსის წერაც ვერ გავბედე მე!

- არ მჯერა, რომ ხშირად არ უტყვებოდით ერთმანეთს სიყვარულში...

- არავითარ შემთხვევაში! ამაზე ლამაზაკი როგორ შეიძლება? არა კაცო! სიყვარული არსებობს! ჩვენც ვმოქმედებდით, ჩვენ მივდიოდით, მოვდიოდით, ბავშვებს ვეფერებოდით, ერთმანეთს პატივისცემით ვეპყრობოდით, ხანდახან იყო ხოლმე, შეცდომას დაუშვებდი, ქეიფში, შეიძლება ვერ მოვიქცეოდი ისე, როგორც საჭიროა, სულ ვერვითობოდი, აუ, როგორ შექმნა, როგორ და რას მეტყვის ახლა, არ მითხრას, რომ ცუდად მოვიქცეოდი. და როცა ძალიან კარგ ხასიათზე ვიყავი, ერთი 10-20 დღის შემდეგ, მეტყოდა, არ გრცხვენია კაცო!?

- ახსნიოთ არ აგიხსნიათ სიყვარული?

- არაფერი მითქვამს... მივდიოდი, მოვდიოდი, ვიდექი, ხვდებოდა,

რომ რაღაც სულელვით ვიქცეოდი... მერე ერთ შვენიერ დღეს, მოვიკიდე ხელი და ჩემს მძაკაცებს განვუცხადე: ეს ქალი არის ჩემი ცოლი-მეთქი... გაჩემდა, ხმა არ ამოიღო... სახლში მივედი, დედაჩემს ვუთხარი, ეს არის ჩემი ცოლი-თქო... შევიკრიბეთ, მისი დედა იყო, დედა იყო, მისი და იყო, დედაჩემი იყო, ჩემი დედა, მე ვიყავი, ბელა იყო, დედაჩემი და ვისადილო, საღვებრძელოები ვთქვით, და ეს იყო ჩემი ქორწილი. ასე გახდა ჩემი ცოლი...

- ყველაზე დიდი სარჩქარი?

- ქალიშვილი მომიყვანა, ვაჟიშვილი მარჩქა... და თავისი თავი მომცა! აი, ეს იყო ყველაზე დიდი სარჩქარი.

- დღეს რა გრძობა გეუფლებათ, ახლა, ამ წუთას, ამ თემაზე საუბრისას?

- იცი რა?! როდესაც ამ ქვეყნიდან წავიდა, დავდიოდი თურმე სახლში და ვიძახდი: „რა გქნა, ესლა რა გქნა“-მეთქი. თურმე სულ ამ სიტყვას ვიძახდი. მერბ კოკონაშვილი მოვიდა ჩემთან და შემეკითხა, „კახო, რამდენი წელიწადი იცხოვრეთ ერთადო“. მე ვუთხარი, 26 წელიწადი-თქო. „ბედნიერი იყავით“, ვიყავი-მეთქი. ეს 26 წელიწადი ვიყავი ძალიან ბედნიერი-მეთქი. კახო, ადამიანები არიან ამ ქვეყანაზე, რომლებიც 26 დღეს არ ყოფილან ბედნიერები, და 26 წელიწადი, მეთხედი საუკუნე იყავი ბედნიერი, სულ ხომ არ შეიძლება ბედნიერი იყოს ადამიანიო, და ძალიან ფილოსოფიური სიტყვები მითხრა.

მართლაც, ხომ არ შეიძლება სულ ბედნიერი იყო, ხომ არ შეიძლება სიცოცხლე გაგრძელდეს სულ არა? ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ყოფილიყავით უფრო მეტად ერთად და... უფრო მეტი ხანი ვყოფილიყავი ბედნიერი... თურმე ბედნიერება მარადიული არ არის და... მეც ასე ვფიქრობ, ალბათ, როგორც ცხოვრება არ არის მარადიული, ისე ბედნიერებაც არ არის მარადიული და ასეთი გაგებით ვეკიდები... შვილები არიან შენთან, მერე იზრდებიან და მიდიან, მერე უნდა გამოგეყონ და ძალიან მძიმე მომენტია. ქალიშვილი გათხოვდა, ვაჟიშვილმა ცოლი შეირთო... ისინი უფრო ახლობლები გახდნენ ერთმანეთისთვის და... ახლა შვილიშვილები უფრო მეტი არიან. რაღაც ხდება... მიდიან, მოდიან... თურმე ბედნიერებაც ერთ ეტაპზე უნდა დამთავრდეს, თურმე! რომ მერე მერე ბედნიერება დაიწყო, მერევე სიცოცხლე დაიწყო, მერევე ადა-

გეორგიევსკის ტრაქტატის 220-ე წლისთავზე რედაქციაში მივიღეთ ისტორიკოს ნოსტრენას ბერძნის წერილი, რომელშიც ავტორი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის მიერ დაშვებულ საბერძნეთო შეცდომებზე საუბრობს.

ერეკლე მეფემ, რომლის ცხედარს თეოფილანტის მცხეთაში 1798 წლის 21 თებერვალს 20 ათასი ქართველი ვაჟკაცი მიაცილებდა, დაბადებიდან გარდაცვალებამდე მუდმივად დიდებულ მთავარსა და მხედრობის გამგებანობით ატარა და ასახელო ქართველთა სათავედ დასახელებული დიდებული წინაპრებისა. და რომ არა საბერძნეთო პოლიტიკური შეცდომები, საქართველოს მომავალი იქნებ სხვა, ჩვენთვის სასიკეთო მიმართულებით წარმართულიყო.

პირველი საბერძნეთო შეცდომა იყო ის, რომ 1789 წელს ტფილისის ჩამოსვლი იმერელთა ელჩობას, რომელმაც მეფეს ქართლ-კახეთთან იმერეთის სამეფოს შეერთება შესთავაზა, ერეკლემ უარი უთხრა. პატარა კანს შეეძლო, ჩაღმის-მაგვარი თავსარქმელი მოეძრა და მის ნაცვლად „ერთიანი საქართველოს“ გორგასლიან-დავითიან-თამარაიანის ჯილდოსანი გვირგვინი დაედა, მაგრამ მან დედოფალ დარეჯანის ნებით გადაწყვიტა, უარი ეთქვა იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთებაზე, ხოლო იმერეთის სამეფო ტახტზე დაესვა დავით არჩილის ძე — შვილიშვილი დარეჯანისა და ერეკლესი.

ერეკლე II-ის დახმარებით დავით არჩილის ძემ ლოსიანთხევში სასტიკად დაამარცხა თავისი მეტოქე დავით გიორგის ძე და იმერეთის ტახტზე დაჯდა ახალი სახელით — მეფე სოლომონ მეორე.

ერთი სიტყვით, თვითონ ერეკლე II-ის ოჯახური მრავალსაყოფიერება ქვეყნის შინაგანი გათიშულობისა და დაქსაქსულობის ხელშემწყობი ბირობა გახდა. ერეკლე მეფეს, ბიძილოს ველზე უბადლო გამოს, სიბერის უამს საპატივსი ოჯახის მოვლაც გასჭირვებოდა. ასეთი დაუკვირებლობა მალე ძვირად დაუჯდა მასაც და საქართველოსაც.

მეორე დიდი შეცდომა იყო ის, რომ 1791 წელს დარეჯან დედოფალმა ერეკლეს საქართველოსათვის კიდევ უფრო საბერძნეთო კანონზე მოაწირინა ხელი.

თუ მანამდე, 15 საუკუნის მანძილზე, ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით დაკანონებული იყო, რომ სამეფო ტახტი მეფის სიკვდილის შემდეგ ვაჟთაგან და მის უფროს ვაჟს, ერეკლემ ეს კანონი, დარეჯან დედოფალს დასწინამბული ორთხილვით, შეცვალა და დაადგინა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ტახტს მიიღებდა არა უფროსი ძე — გიორგი (რაჟი გიორგი დარეჯანისაშვილის ბმარი იმჟ და არა ლეილი შვილი), არამედ თანამედროვეობით უნდა ემეფათ დარეჯანისა და ერეკლეს საერთო შვილებს: თეოდოსი, ვასტანს, მირიანს, ალექსანდრეს, ფარნაოზს, ხოლო ამთ შემდეგ მეფობას გაგრძელებდნენ უფროსი ვაჟის ძენი. ამან კი ბატონიშვილთა

შორის შუილი წარმოშვა. ერეკლე მეფის ამ გადაწყვეტილებამ ისედაც დაქსაქსული საქართველო კიდევ უფრო დაშალა და დააუძლურა, რამაც გადაწყვეტი რომელი ითამაშა ერეკლეს დამარცხების საქმეში აღა-მაშადა-ხანის შემოსევის დროს.

დაბოლოს, 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის რუსულ ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში დაიდო რუსეთ-საქართველოს „მეგობრობითი ბირობა“, ანუ ტრაქტატი.

ამ ტრაქტატზე ერეკლე II-მ ხელი მოაწერა 1784 წლის 24 იანვარს, რითაც ტრაქტატით გათვალისწინებული ორივე მხარისათვის მისაღები პირობების საფუძველზე, საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა.

რუსეთი ისეთივე „მხსნელი“ და „გადა-

მრჩენელი“ უნდა ყოფილიყო საქართველოსათვის, როგორც თავის დროზე მიკვლინა იყო საბერძნეთისთვის. მაგრამ რუსეთი ხომ „ხალხთა საპყრობილია“ — იქვე თავის დროზე, ე.ი. საქართველო „ხალხთა საპყრობილი“ თავისი ნებით უნდა შესულიყო აქედან გამომდინარე ყველა იმ შემდგომში ქარ-

თველ ხალხს დაატყუდა თავს. „თავზღდომის“ მიზანი კარგად ჩანს 1800 წელს საქართველოში სავანებო მისიოტ ჩამოსული მუსინ-პუშკინის მიერ საიმპერატორო კარისადმი წარდგენილ მოხსენებაში, სადაც ნათლსხმევი იყო ქართლ-კახეთის საერთოდ „მიერთება“ რუსეთის სახელმწიფოსთან, რაც, თავის



მეტი სიკვდილისათვის წერილიში მოყვანილ მონაწირებზე კომენტარი ვთხოვეთ ცნობილ ისტორიკოსს სპიმონ მასხარაშვილს, რომელსაც აქვე ვთავაზობთ.

კონსტანტინე აპონტი ერეკლე მეორის კარზე და კონსტანტინე დან პონაპე?



220 წლის ინიამთ, 1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკის ტრაქტატის ამ ხელმოწერის მოწინავე ხელი

მხრივ, რუსეთის ხელისუფლებას გაუადვილებდა კავკასიის „ლონიანზე“ ბატონობას და სამხრეთისაკენ — წინა აზიისაკენ შემდგომ „მრავალმხრივ დაინტერესებულ“ წინსვლას.

აი, ეს იყო ერეკლეს მესამე და საბოლოო საბერძნეთო შეცდომა, რომლის ნაყოფსაც ჩვენი ხალხი დღემდე იძვის.

ნოზრავან ბაროძე,
ისტორიკოსი

ფოტო გადაღებულია 1983 წელს, როდესაც საბჭოთა საქართველოში პირველად აღინიშნა „გეორგიევსკის ტრაქტატის“ 200 წლისთავი. რუსეთის მხრიდან ტრაქტატის პირობათა აბურავს ახლავს სპიმონ მასხარაშვილი თხრობის და დასრულებას, რომ აღნიშნულ ისტორიულ ხელმოწერა იხსნად გახადებოდა იყო განთავსებული.

დარეჯანს, რომელიც უფროსი ერეკლე მეორეს დაუპირისპირდა კავკასიის კავშირებს? ის, რაც ქართულ ისტორიულ წყაროებში არ წერია!

სპიმონ მასხარაშვილი: - ერეკლე II უდიდესი მთავარსარდალი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, კარგი სარდლობა არ ნიშნავს კარგ პოლიტიკოსობას, რადგან მან თავისი მეფობის პერიოდში მართლაც საბერძნეთო შეცდომები დაუშვა.

1783 წელს „გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადება ერეკლე II-ის მიერ დაშვებული ერთ-ერთი დიდი შეცდომა იყო. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, როგორი წინაპირობა შეუქმნა რუსეთმა საქართველოს ამ ტრაქტატის გაფორმებამდე, შეიძლება, ერეკლე II, გარკვეულწილად, გავამართლოთ კიდევ. იმ პერიოდში რუსეთის სამეფო კარის ერთ-ერთმა პირველმა ბირობა - პოტიომკინმა თავისთან დაიბარა ერეკლე მეფის კარის ექიმი რეინეჟი, დიდი რაოდენობის თანხის გადახდით გადაიბარა აგენტად და მისცა თითქოსდა უშიშვნილი დავალება: კერძოდ, თუკი ერეკლე რჩევას ჰკითხავდა, რუსეთის მფარველობაში შესვლა უნდა ერჩია. ამავდროულად პოტიომკინმა რუსეთში მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილი (ვასტან VI-ის შვილიშვილი, ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე) და ალექსანდრე ამილახვარი (ერეკლე II-ის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ფეოდალი) გააგზავნა ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მთავართან - ტარკის შამხალთან, რომელსაც დიდი რაოდენობის ფული გადაუხადა მათ დააბრუნებდა და, პარალელურად, ხმების გაგროვებაში, თითქოს, მთელი ჩრდილოეთ კავკასია ირავებდა და მოემართება ქართლში ტახტიდან ერეკლე II-ის ჩამოსაგდებად და ალექსანდრე ბატონის ძე ბაგრატიონის გასამეფებლად. დახმარება ერეკლე II-მ რჩევა ჰკითხა თავის მეუღლეს - დარეჯან დედოფალს და ბირად ექიმს - რეინეჟს. მკურნალმა, პოტიომკინის მითითებისამებრ, ერეკლეს რუსეთის მფარველობაში შესვლა ურჩია. აი, ასე გახდა ქართლ-კახეთის დაბნეული მეფე პროვოკაციისა და ინტრიგების მსხვერპლი - მან ხელი მოაწერა „გეორგიევსკის ტრაქტატს“ - შედეგად კი საქართველო უამრავი პრობლემის წინაშე დააყენა.

ქართლ-კახეთის მეფემ მეორე გამოუსწორებელი შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც იმერეთი არ შემოიერთა. არადა, მთელი დასავლეთ საქართველო სთხოვდა მას იმერეთის შეერთებას კართლ-კახეთისათვის. ერეკლე II-მ დარეჯან დედოფლისა და იოანე ბაგრატიონის რჩევით ტახტი არ წაართვა თავის შვილიშვილს - დავით არჩილის ძეს, იგივე სოლომონ II-ს, არ გააერთიანა საქართველო, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და, შესაბამისად, რუსეთის საქართველოში შემოსვლის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დარჩა.

ბოლო და გამოუსწორებელი შეცდომა იყო ერეკლე II-ის მიერ დაწერილი ანდერძი, რომლის თანახმადაც, ტახტის მემკვიდრეობა შვიდი თაობის განმავლობაში ჯერ მის ექვს შვილზე, შემდეგ კი - მათ უფროს შთამომავლებზე უნდა გადასულიყო. სახელმწიფოს მართვის ასეთი პრინციპი დამახასიათებელია ბარბაროსი ქვეყნებისათვის. ასეთი ანდერძის დატოვება საქართველოსათვის კატასტროფის ტოლფასი იყო. ერეკლე II-მ ანდერძი თავისი ხელით დაწერა და აღნიშნა, რომ არავის „შთაუფონებია, მაგრამ იმდენად უსვამს ხაზს ამ გარემოებას, ჩნდება ეჭვი - ეგებ მართლა ვინმეს გაგონით დაწერა მან იგი?! საშუალოდ, ერეკლე ანდერძშივე წვევლის ყველას, ვინც კი მის ანდერძს დააარვევს. მართლაც, ქვეყნის მეფისა და მამის წვევლა კი მერტყმეტად მძიმეა. სხვათაშორის, გიორგი XII ერეკლეს გარდაცვალების წინა დღეებში მძებს ანდერძის შესრულებას დაპირდა, მაგრამ ერეკლეს გარდაცვალებიდან მოკლე ხანში მან რუსეთის იმპერატორს - პავლე I-ს სთხოვა, აეცილებინა მისთვის მამის ანდერძის სიმძიმე, ამისათვის თანხმა იყო, მეფობასაც კი გამოსთხოვებოდა. ასე რომ, ერეკლეს ანდერძი გახდა საჭილდაო ქვა, რომელზედაც დამოკიდებული იყო იმჟამინდელი საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ესაუბრა თამარ ციციშვილი

მანებმა იბენიერონ და ასე შემდეგ. მე მადლობელი ვარ ღმერთის, რომ ამხელა, ეს 26 წლიანი ბედნიერება მაჩუქა.

- ბედნიერება გაჩუქათ, ესე იგი ბედნიერი იყავით?

- ერთი კაცი დამისახელე, დაწეებული დიდი გენიოსებთან, რომლებმაც მსოლიო დაიპყრეს, რაც უნდოდათ გააკეთეს, რომ ეთქვათ, ბედნიერები ვართო... დამისახელეთ რა?! ვერ იტყვით ასეთ კაცზე! შეიძლება პირიქით, რომ გვეონია ჩვენ ბედნიერები, სულაც არ იყენენ! მე ვთვლი, რომ ბედნიერი ვიყავი, შვილები მყავს, შვილიშვილები მყავს, ბედნიერი ვარ! მადლობელი ვარ, ღმერთის, რომ დღესაც ვმუშაობ, დავარდნილი არა ვარ, მინდა რომ ზეზეულად, ხეები რომ კვდებიან, ისე მოვკვდე სცენაზე. ჯერჯერობით ასე მიდის და თუ ასე დამთავრდება ჩემი ცხოვრება, ესეც ბედის საჩუქარი იქნება ჩემთვის.

- ბელასთან შეხვედრა როგორ წარმოგიდგენიათ?

- ალბათ ჩვეულებრივად, თითქოს ის გუშინ წავიდა, მე დღეს


მივედი... ასე შეხვედრებით ალბათ ერთმანეთს... მომჩვენებია... ბოლო სიტყვები ბელამ ას მითხრა, რაღაცას ველაპარაკებოდი, მინდოდა გამომეყვანა მდგომარეობიდან, რაღაც მძიმედ იყო და... ბოლო სიტყვები იყო: „Оставь меня в покое, не мешай в бложество“, დამანებ თავიო. შევეშვი და ესე ძილში 28 აგვისტოს, მარამობას დაიდინა და წავიდა...

დედაჩემმა ჩემს ხელში დალია სული და მისი ბოლო სიტყვები? სულ რაღაც ტკიოდა, თვალებში დაკარგა ფოკუსი (დედაჩემს ქმარი დაეღუპა, 27 წლის დარჩა ორი შვილი) და ძალიან ფხიზლად, ძალიან ფხიზლად, - „დათაშკაა“, - დაუძახა და დაამთავრა სიცოცხლე.

- შეხვედრენ!

- შეხვედრენ! რა ვიცი, შეიძლება მეც დავიძახო, ან იმან დამიძახოს: კახოლო...

- ბატონო კახი, ემაგ დაძახებამდე ერთი საუკუნე კიდევ მინდა გავიდე... ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ, ელიზბოც გვეხირობება და ღონ კისოტიც...



ეს საუბარი ცივი თებერვლის ცივ დარბაზში შედგა... ცივი-მეთქი, ვამბობ, მაგრამ როცა ჩვენი საუბარი დასასრულს მიუახლოვდა, ვიგრძენი რომ ეს სიცივე სადღაც გამჭრალიყო და იქაურობა სიყვარულის სითბოთი გამთბარიყო.

თბილი ოთახიდან გარეთ გასვლა კი ძნელია, ხოდა მეც ძალიან გამიჭირდა ამ სითბოს, ამ სიყვარულის იქ დატოვება.

მანუჩარ კაჭახიძე

„დადგა ბიჭი, ნა ნაიქსა!“

მთები მოსდგომიან მდინარეს ჩრდილოეთისკენ სამხრეთიდან დაპრულნი, მტკვარს დაუდევს მწვანე მათი სარბილისთვის, მხოლოდ ვადამა — ნაზამთალი კამეჩის ზურგით მოტვლებილი ქედის ნაწვევები დაჩინებულა ერთი და მასზე სხვა ქონგურებზე დასაყრდენად, უზარმაზარი ბასტიონი. ნისლიან სადამოს რუნდრედიანს წააგავს იგი, ხოლო მწვარეში აკროპოლისს, ათინის ციხეს.

ცა აღმინის სუფივით და მსობია მყარს.

დურაჯისფერი დასდებია როგორც ღრუბლებს ნაგვიანევი სხივისგან კიდევ შეფაკლულს, ასევე პატარა ქალაქსაც, ციხის გარშემო გაშლილს.

ამ ცადაზინული ციხეკალაქის ბუმბერაზობა მომეტეულად აჩიავებს პაწია, უგემურ სახლებს, ციხიდან მომავალი ბილი კეხის გაღმა-გამოღმა.

რთვლობა მოწეულა, ზემოუბნის მცნოვრები მახლობელ ვენახებში განიზნულან, მხოლოდ ძაღლები ჩაღიზნებენ აქა-იქ უშუბში, ფარდულზე გასული მამალი ფრთას-ფრთას შემოპარავს და ჰყვივს ძალღვანი ხმით, უხმობსო თითქოს დასავლეთისაკენ გაბარულ მზეს, ხანაც ლოკომოტივი აბდავდებდა ხარირემივით, და გრგვივით გასიშის ენო ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდის, კვერნაქის მთიდან რუისის ქედამდის და ბურეთის მთების ვადამა.

ქონები ქონებს ეკვირან გვერდს, ქონები ქონებზე მიუსრესიაო განგებინად თითქოს ვიდაცას.

მათ მისდევნ ერთსართულიანი, ფარატინა სახლები, სამხრული დაუდევრობით შეხობილბული სახურავები, ფრივგლის სკორესგან დაწინწკლული სამტრედები, უმგვანო მიწურები, აღმოსავლური ბანები და მათ კედლებში უმწეოდ ამოსული მცენარეული, ისეთი უდღეური და უნიათო, როგორც ოცნება უსაფუძვლო და განწირული.

თვალს ახარებს აქა-იქ სახლების ლაფაროში მოშენებულ პაწია ხილნარები, მზისგან დამწვარი ლოყები ატყევისა და ვაშლებისა, მალალი, დაღმეჭილი უნების ხეები, წითელ-ყვითელი ნაყოფით დახუნძლული. ტალავარების შეყვითლებულ ფურცლობისგან გამოკრთის აქა იქ გაღვივებული მტევნების ქარვა და ლალო.

და ისევ წააწყდება თვალი თუნუქის, ყავრის და ლამფების სახურავების მწკრივებს, სახელდახელად შეხანსლულ ყორეებსა და ღობეებს.

საერთოდ მთელი ღარბითა უბანი ისეთ შთაბეჭდილებებს სტოვებს, თითქოს ვილაძეებს უცხოვრით დროებით აქ და მიუღვივებოთ ეს გარემო ღვთისანაბარა.

ქობთა შორის მხოლოდ ერთადერთის კარი იყო გამოღებული, რიკულეობიან ქართულ ავიანზე მანდილიან დერდაკაცი იჯდა და ჩვილს ათამაშებდა.

ქობთა შორის მხოლოდ ერთადერთი მთელი მთელი იყო გამოღებული, რიკულეობიან ქართულ ავიანზე მანდილიან დერდაკაცი იჯდა და ჩვილს ათამაშებდა.

დაადგევიდნდა თუ არა ყრბის იატაკზე ფუნთუშა ფეხებს, ხელს შეუშებდა ერთბაშად, ხარობდა ბედნიერი დედა, უბრწყინდებოდა თვალის უპენი, მაგრამ როგორც კი უსუსური ორივე ვეღარ შეისძლებდნენ ფეხუკი სხეულის ზიდავს, მყისვე შეაშველებდა ორივე ხელს, ამაოდ შერებოდა დედა, ბინდი მოწველიყო, შეატყუა: ჩვეულებრივად არ ხალისობდა ბალო.

სანახევროდ ბნელ ოთახში ლამაზ ხროლოვდა, დედამ ფრთხილად გაიარა კედლის გასწვრივ, საწოლსა და აკანს შორის შედგა დაფიქრებული.

შეკვამნდა:

ისევ აკანში ჩაწევიდა ჩვილი, თუ დედამისი საზიარო საწოლზე? არა, არ ივარგებდა, მამა გვიან მოსულიყო ვინძლო, გა-

აღვიძებდა ყრბის. ახლა სკვირისაკენ გაიხედა. ლეხი ზედ დაეგო და იქ დაეწევიდა ლამით?

ეგებ ძია უფლისა მოყვსო ბავშვის მამას, პურმარისს მიაძალებდნენ სტუმარს, დასჭირდებოდა უთუოდ სკვირის ვადება. დროული ქალები დაიხინებთ მითხობდნენ: აკვნიდან ამოყვანათ ბავშვი.

საწოლზე დაიძახნა დედამ, ცალი ხელით დაითრია აკანი, აულრილდნენ აკვის ტარზე დაკიდებული თეთრი კიბილები.

გაჭირვებულა, ატირდა პატარა. ქვემცენულად მიხვდაო თითქოს, უსაწოლობის გამო რომ აწვედნენ აკანში საკმაოდ მოხიბტულს.

უკვე თავისუფლებას მოითხოვდნენ მისი ჯანსაღი სხეულის იოგები, ამიტომაც სივდა მას მწუხარის მობლოება, დღისით, ნებთერად ბულრაობდა დედამის საწოლზე, მუთაქებს აბურთავებდა, დაჩივდა სობანზე, უკვე ახერხებდა ბურთების, კოვზების, ჯამების ვადსაროლას.

მოვიდოდა დამე თუ არა, აახრჩობდნენ ქრატს და ალასლასდებდნენ კედლებზე დედის, მამისა და მეზობლიანთ



აურა გვერდი კარტოფილის ტომრებსა და დანჯორულ სკამებს, ვავიდა უნაბის ქვეშ.

მართლაც და მიმინავე ჯოგები დამითლით შემოდიოდნენ ქალაქში. ქინჯასუქებული მოზერები მობლოდნენ, ჭინვივდნენ უბელო ულაყები, წვერცანცარა თეთრი ვაცები ამაყად მოუძიოდნენ ცხვრის ფარებს და ისეთი ალიაქითი დამდგარიყო გარშემო, თითქოს აღმიანები გამქარაიყვენ საღვაც და ეს ქალაქი როდი ყოფილიყო, არამედ მეჯოგებისა და მეცხვარეების ხანაქა.

მტკვრის ტალღისფერმა ცხვა-

კონსტანტინე გამსახურდია

ბელაქი



ნოსაბ სკალინის ვაჟა - ბასარიონი ივანეს ძე ჯავახიშვილი



სოსო ჯავახიშვილი. 1893 წელი



ნოსაბ სკალინის დედა - კახაბრინე (კახე) გიორგის ასული ბელაქა-ჯავახიშვილი

ცოქალას ვეება ლანდები, ერთ წუთში მისთვის მახლობელი აღმიანები ჰპარგავდნენ ფერსა და გამოიმეტყველებას.

ლანდები დაბობდავდნენ კედელზე და მის პაწია გონებას, ქოსის პირიდან ახლადგამოსულს, ეს ყოველივე ეჩვენებოდა, როგორც მაჯლაჟუნა ლანდების თამაში.

და იცვლებოდა ჩვილის წარმოდგენაში არა მარტო აღმიანთა აღნაგობა, მათი კიდურების მოძრაობანი, არამედ ხმაც, დახველები, ან ამოხვირინვა, ახაზდებული ძლიერდებოდა და სამიში ხდებოდა.

დაუთკუნა ლოყები ფუნთუშის დედამ, მერე ჩააწვიდა აკანში. უარესად ატირდა პატარა, უმწეოდ ასმარტალებდა მუშტებდა მკარულ ხელებს, ხანაოჭებულსა და ჩაბუტუნებულ ფეხებს.

ტირილობა საოცრად შესძრა მისი სალუქი სახე, ნაოჭები წამოვიდნენ ტურ-პირის არეში, სახე აეძრინა და გაუწითლდა. ორივე წინა კბილი ელავდა ჭრატის სინათლეზე, წითელი, შიშველი ღრძილები ფონზე.

„სუ. უ... გეხაცვალს დედა, მამილო მოგიტანს კაკას“, — ეუბნებოდა დედა, თანაც კარებისაკენ იხედებოდა.

ორივე ხელი გაუსწორა ბალოს, გაუჭიმა, მოსწია წინა ბრეტანს, გადაუჭიმა ზედ და მაგრად მოუჭირა გულმკერდზე.

